ŞİŞECAM
GLASS
PACKAGING

თარიღი	წერილის №
18.01.2023	123 / 01 - 06

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ სს „მინას" მინისა და მინის პროდუქციის წარმოებაზე (ქსნის მინის ტარის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-1134 (07.12.2020), რომლის მიხედვითაც საწარმოს დღეისათვის მინის ტარის საწარმოებლად გააჩნია ორი 100 ტ/დღე-ღამე სიმძლავრის ღუმელი ე. წ. B და C ღუმელები შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

სს „მინას" დაგეგმილი აქვს B ღუმელის ცივი გაჩერება, დემონტაჟი და მის ნაცვლად თანამედროვე ენერგოეფექტური 150 ტ/დღე-ღამეში სიმძლავრის ღუმელის მშენებლობა. ასევე, კაზმის საამქროს ძირეული რეკონსტრუქცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ ექსპლუატაციის პირობების დაგეგმილი ცვლილებების სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. სკრინინგის განცხადება
2. Shp ფაილები

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„24" 01 2023
№ 426

პატივისცემით,

ოლგუნ თაშდემირი

გენერალური დირექტორი

სააქციო საზოგადოება "მინა" Joint Stock Company "MINA"
3312, მცხეთის რაიონი, სოფელი ქსანი
3312, Ksani Village, Mtskheta Region, Georgia
ტ/T: +995 322 449 987
+995 577 993 312
http://www.si[illegible]balaj.com/ka